

შინაური საქმეები

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.

№ 17.

კვირა, მაისი 3, 1909 წ.

ფას: წლიურად — — 4 მან.

თვეურად — — 2 1/2 მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეცენტ.

ადრისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“

რედაქცია.

შინაური: შენიშვნები მღვდელმონაზონ სერგის წერილის შესახებ; სახარების სიდიადე—ე. ჩ.—ძისა; გაზეთ-ხელი (ლეკი)—ივერიელისა; ქართველი გლეხის შვილი—ხომელისა; ქუთაისში აკაკის დღესასწაულზე დამსწრე ქაქუჩა გლეხის ნაამბობი—ქვაციხელ-საბაჟოელისა; აკაკი წერეთელი—მღ. მ. კვლევჯერძისა.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საებარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 1/2 მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

შენიშვნები მღვდელმონაზონ სერგის წერილის შესახებ*).

(შემდეგი).

მ. სერგი სრულიად ფუჭად თვლის საკითხს, იყო თუ არა საქართველოს ეკლესია თავის დროსე ავტოკეფალური, რადგან ეს საკითხი უკვე გამორკვეულია მიანა საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ. ჩვენი ძნრით არაფერი დაგვრჩენია მის მეტი, რომ მადლობა გადაუხადოთ მ. სერგის ძნრთლის თქმისათვის: ჩვენ ისე მივიჩნით შეიწროებას და ყოველგვარ უსამართლობას, რომ ეს ერთი

* იხ. „შინაური საქმე.“ № 11.)

ნამცეცა სიტუაციური დათმობაც გვისამოვნებს. ნუ დავივიწყებთ, რომ რუსეთის გამორჩენილი პროფესორები ამ ცოტა ხნის წინად ცხად სიცრუეს იცავდნ საქართველოს ავტოკეფალობის შესახებ და რატომ განაკვირი და სასიამოვნო არ არი რუს ბენმონაზონისაგან მიუღებელი მსჯელობა. თუმცა მთელმა ქვეყანამ გაიგო და დარწმუნდა საქართველოს ეკლესიის ყოფილ ავტოკეფალობაში, მაგრამ ჩვენ ვიდევ ერთ კითხვას მივსცემთ მ. ბუტკევიჩს და მის ამხანაგობას, სასულდობრ: თუ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური არ ყოფილა, მაშ ვის წართვა იგი რუსეთის ეკლესიამ, რომელ პატრიარქს ჩამოართვა და ან რა კანონიერი უფლებით ისარგებლა ასეთი საქციელის განამართლებად? რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური არ ყოფილიყო, რუსეთის ეკლესია აგრე ადვილიდ და სძა ამოუღებლად ვერ შეიერთებდა მას, მაგრამ გარეშე ძტრებისგან იღვჯვანევეტილი ქართველი საძვდელოება, რა თქმა უნდა ვერ დაიცავდა თავის ეკლესიის

თქმისათვის...
სახელი...
ბი...



თუბცა შიგა და შიგ ცოტაოდენი ჰროტე-
სტიც იყო.

მაგრამ თავი დაჯანებით უკვე დამ-
ტვიცებულ საგანს და საკითხი საქართვე-
ლოს ეკლესიის ავტოკეფალიობისა ისტო-
რიული ნიდაგიდგან მ. სერგისთან ერ-
თად გადავიტანთ ჰრატეკეულ ნიდაგზე
და მივიღოთ მხედველობაში სხვა და სხვა
საჭირბოროტო საკითხები, სახელდობრ:
სასარგებლო იქნება თუ არა თვითსაქარ-
თველოს ეკლესიისათვის მისი ავტოკე-
ფალიობა? შეიქნება იგი ნამდვილ საშუა-
ლებად იმ სარწმუნოებრივ ინდეფერენტი-
ზმის წინააღმდეგ, რომელსაც ესლა ფენი
აქვს მოკიდებული ქართველ სასოგადო-
ებაში, თუ შეიძლება, იმან უფრო დას-
ცეს კეთილმორწმუნოება, ან გამოიწვიოს
სარწმუნოების გამოცვლა?

მ. სერგი ამტკიცებს, რომ ავტოკე-
ფალიობა დასცემს ხალხში კეთილმორწმუ-
ნოებას და გახდება მიზეზად სარწმუნოე-
ბის გამოცვლისა და აი რა საბუთებით:
1, თვით ქართველ სამღვდელოების სიტ-
უვით, ხალხში მეტად დაცემულია კეთილ-
მორწმუნოება; ეკლესიაში ხალხი აღარ
დაიარება თვით დიდ დღესასწაულებშიდაც,
მათი შემოსავალი დაეცა არაობადის.
ამის დამასურათებელი გარემოება იმაში
გამოიხატება, რომ ქართველი სასოგადო-
ება აღარ დაიარება სიონში და სოსუმის
საკათედრო ეკლესიაში, მიუხედავად იმი-
ნსა, რომ აქ ამ უკანასკნელ დროს წირვა
ლოცვა ქართულ ენაზე შემოიღეს, 2, თვით
სამღვდელოება არ სდგას შესაფერ სიძა-

ღლესე, არც ხალხი აქცევს უზრდლებას
მის სიკეთეს და სულ ერთი არ არის, ვინ
იქნება ექსარხოსი—რუსი თუ ქართველი?
4. აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველთა
ძორის სუფევს ანტაგონიზმი (იდუმალი
განხეთქილება) და ამიტომ საეკლესიო
წესწეობილებას დიდი არეულობა მოეღის
ავტოკეფალიობის დროს.

ხალხში და თვით სამღვდელოებაშიც
რომ დაცემულია სარწმუნოება, ამის წი-
ნააღმდეგ თქმა არავის შეუძლია, ეს ფაქ-
ტია დღეს, რომელსაც ეველა ცხადად ხე-
დავს და სწორეთ ამ მოვლენის მიზეზად
უნდა აღვიაროთ ის, რომ საქართველოს
ეკლესიამ დაჰკარგა თავისი ავტოკეფა-
ლიობა, დაჰკარგა თვისი ჰატრიარქალური
წესწეობილება. რუსეთის ეკლესიამ მოე-
ლი ერთი საუკუნე სარდა, როგორც ქარ-
თველი ხალხი, ისე მისი სამღვდელოებაც
და იქამდის მიიყვანა, რომ ერთსაც და მე-
ორესაც დაუკარგა სარწმუნოება. დღევან-
დელ სამღვდელოებას არ ეთქმის ქართვე-
ლი სამღვდელოება და აქ სასტიკად სცდე-
ბა მამა სერგი. კაი ხანია ქართველებს
არ ეავთ ქართველი სამღვდელოება. ეს-
ლანდელი სამღვდელოება აღზრდილია რუ-
სულ სემინარიაში თუ არა, რუსულ
საეკლესიო და სალეთისმეტყველო გავ-
ლენის ქვეშ, საკსებით ემორჩილება და
ავრცელების ხალხში იმ წესწეობილებას,
რომელსაც უ. სინოდი ადგია შიგა რუ-
სეთში. მამ საიდგან სჩანს, რომ დღევან-
დელი სამღვდელოება ქართველია? იქიდ-
გან ხომ არა, რომ ქართულ ენაზე ღა-

ზარაკობს? მაგრამ განა ადამიანს არ შეუძლია რობელ ენახედაც უნდა ილანარაკოს და სულით და გულით თავის ერს ეკუთვნოდეს? მაგრამ ქართველმა სამღვდლოებამ რომ არც ქართული იცის?! ამ 7 თუ 8 საუკუნის წინეთ ქართული ენა ისეთი მდიდარი იყო, რომ მასე დაუბრკოლებლად ითარგმნებოდა საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური წიგნები, ესლას კი ამავე ენასე თანამედროვე ვითომ ქართველ ძღვდელს არ შეუძლია სულ უბრალო ცნებები გამოხატოს. აგრეთვე ეკლესიაში წირვა ლოცვაზე სიარული. რომ ქართველ ხალხს უკვარდა ეკლესია და წირვა ლოცვა, ამის უტყუარი საბუთია სიმრავლე დიდებულ ტაძართა, რომელთაგან ზოგი ესლას დანგრეული და განადგურებულია. თანამედროვე ვეებერთელა თბილისის დღესაც კმაყოფილდება თითქმის იმავე ეკლესიებით, რომლებიც აგებულია საქართველოს ჰელიტიკურ და ეგვიპტისურ თავისუფლების დროს. ესლას ქართველი ხალხი აღარ დაიარება ეკლესიაში, ეს რუსეთის ეკლესიაში საკუთარ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს. თუ ასი წელიწადი ქართველ ხალხს უცხო ეკლესიის ხელში ხელნელა უცრუდებოდა გული სარწმუნოებაზე და ბოლოს სულ დაანება თავი ტაძრებში სიარულს, საჭირთა ორმოცდა ათი წელიწადი მანც, რომ ისევე მოიბრუნოს გული სარწმუნოებაზე. მაგრამ ვსთქვათ ავტოკეფალური საქართველოს ეკლესია ვერ მოახერხებს დაცემულ სარწმუნოების აღდგენას, მაგრამ

ვიკითხოთ: რუსეთის ეკლესია რა გზას ადგია, რომ ააუენოს ხალხში დაცემული სარწმუნოება, გადაახადისოს სამღვდლოება და აღადგინოს ქვესენელამდის დაცემული მართლმადიდებლობა? რა ზომებს სმარობს ამისთვის? არაფერს მის მეტს, რაც საერო მმართველობას არ შეეჩებია ხელში და მისი ეოვლად ძლიერების იძელი არ აქვს, რომ მართლმადიდებულ ეკლესიას შეილება არ დაეფანტოს. შეილება მართლაც არ ეფანტება, მაგრამ იგინი მხოლოდ სახელით რჩებიან შეილება და არა საქმით. ასეთი დაცვა მართლმადიდებლობისა არც სასარგებლოა, არც სასურველი. მართლ კარეგნობით მართლმადიდებლობა არ კმარა, რომ ადამიანი სასურველის შეილება კანდეს; საჭიროა გულითადი რწმენა და წრფელი აღსარება ამ რწმენისა. თუ იმას ბრძანებენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის მტერნი, რომ მორწმუნე მხარეს ურწმუნონი ხელს შეუძლიან სარწმუნოების ფორმების აღსრულების დროს, როგორც ამას სხადიოდა ჩვენი მოძრავი ახალგაზდობა ამას წინეთ, მაშინ ჩვენ ვეტყვი, რომ ამ მხრით დაცვა ადამიანის სვინდისისა სახელმწიფოს ვალდებულობაა, რომელმაც უნდა დაიცვას ხელმეუხებლობა რწმენისა და არ უნდა მისცეს ნება მისი შელახვისა. რუსეთში ბევრი სსვა და სსვა სჯულის აღმსარებელი ხალხა სცხოვრობს, მათ შორის არა ქრისტიანიც. რომელთა სიწმიდეს და ზატივს იცავს მისი ადმინისტრაცია და ნუ თუ საქართველოს ეკლესია

სიას მისცემს განსაცდელში მხოლოდ მიტომ, რომ იგი ავტოკეფალური კანდა? სომხების ეკკლესიაც ავტოკეფალურია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ მისი მუდროების დარღვევა არავის შეუძლია დაუსჯელობ.

სხვა ნაირი დაცვა, და აპეკუნობა ეკლესიისა სახელმწიფოს მხრით არა თუ სასარგებლო, არამედ მხუთებელიც არის, რადგანაც აფერხებს სარწმუნოების განმტკიცებას, აზარმაცებს სამღვდულოებას, რომელიც ეოველ იმედს სარწმუნოების წმიდად დაცვის შესახებ მართებლობასე სდებს, ე. ი. თავის ჰირდაჰირ მოვალეობას სხვას ახვევს თავზე და თითონ კი მხოლოდ სარწმუნოების გარეგან ფორმებს ასრულებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სარწმუნოება მაშინ უფრო მტკიცე იყო, როცა მას მტკიცეები კი არა, თვით სამღვდულოება იცავდა. სამღვდულოებაც მაშინ სჯობდა, რა თქმა უნდა, რადგან მას ისეთი ხალხი ეტანებოდა, რომელსაც მხოლოდ თავის იმედი ჰქონდა და არა სხვისა.

რაც შეეხება ავტოკეფალობის მნიშვნელობას სარწმუნოების აღდგენის და განმტკიცების საქმეში ამაზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ აქ ისიც კმარა ვსთქვათ, რომ ხალხს გაუნდებია თავის სამღვდულოება, რომლის ღარდილსაც ადვილად გაიგონებს, ეკლესიას ეუფლება თვისი მწვემნი, რომელნიც არ მისცემენ ნებას სამღვდულოებამ ისე ითარემოს, როგორც ესაა თარემობის რუსის ექსარხოსის ხელში, რომელიც მხოლოდ სინა-

დის კანტორას აწარმოებს და ეპარქიას და მით უფრო საექსარხოსოს სრულიად ვერ იცნობს და ვერც გაეცნობა, რადგან მისი ენა და კულტურა უცხოა იმ ენისა და კულტურისათვის რომელიც გამეფებულია მის სამწესობოში. უცხო სამღვდულოება რომ სასარგებლო ეოფილიყო ეკლესიისთვის, დარწმუნებული ვართ, არც რუსეთი და არც საქართველო არ მოიშორებდა ბერძენ სამღვდულოებას და დღესეც აღმოსავლეთ პატრიარქების ხელში იქნებოდენ. ხოლო რას ვხედავთ? ჰირველე ხანებში იწუება ზრუნვა ეროვნულ სამღვდულოების შედგენაზე და ისტორიაც ცნადად საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ეროვნულ სამღვდულოების მართვა გამეგობა ეოველთვის გაცილებით სასარგებლო იყო ერისა და სარწმუნოებისთვის.

გაუქმდა!

სახარების სილიაღი.

და სთქვა იესომ მორწმუნეთა მისთა: უკეთუ დაადგრიებთ სიტყვათა ჩემთა .. იცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება განვათავისუფლებს თქვენ (იოან. 9 თ. 31—32 მ.)

(გავრთლება. *)

მილიონ მონათა შრომით უჩრუოველია და განარჯვებულნი თავის ცხოვრების უმეტეს ნაწილს გამრეხულ მცონარობასა და უგუნურ ფუფუნებაში ატარებდენ. არ იყო არც ერთი გვარი გაოყენილ და უხეშ გრძნობების დაკმაყოფილებისა და ღროის ტარებისა, რომელთაც ეუღამდე არ ეოფილიყო მამდარი კულტურულ ხალხთა საუკეთესო ნაწილი. „უეუღაფერმა აქ, — ამბობს ერთი ასტო-

** იმ. „ზინა. საქმ.“ № 16.

რავისი, — იყო გაბეჭდული უკუღმა უდაბლობა, გემოვნების გაბეჭდვა, თუფუნება და სიძარცხეობა დროის ტარება“.

„რა არის ჭეშმარიტება!“ ზიზღით კითხულობს წარმართა ჭკვეუნა; განა დიდი ასეთი უბრალო სიკეთისისთვის თავის შეწუხება? ცხოვრება მოკლეა, ისწრაფეთ იმით დატკობთ Carpe diem, — არ გაუძვას სატებობის წაშობა, ან ძველი გარდაბობის დეკონა. სულიერი მოთხოვნალებანი ეღვიბებოდნენ იმით და თუ ვინმეში ხანდახან აღიზრდებოდა უმადლეს მისწრაფებათ ცალკე ხანგრძლივი, ისიც, ვინაიდან კერ შორულადა თავის განსასრულელებსათვის შესაფერ ნადავს, უბედვრად მისს ნეტრანს მძიმე უძყოფილებს ცხოვრებისადმი. „რისთვის უნდა ვამწყურსროთ წვირად მანებზე“, — კითხულობს სენეკა. „სიკვდილო, იმუდარება იმპერატორი — ფილოსოფოსი, მარკოზ აგრელი, სუ გვიანად მოსულს.“

შეგახანა, ვინც კერ შესძლო ზნეობრივი ცახრწინს, სკერთა ძაღმომრეობის და მონური თავუხანისციმის სულის შემსუთველს ატმოსფეროსთან შერეება, ცხოვრებდენ იმ იდეით, რომ როდისმე ამოუბრწყინდებს ჭკვეუნას. ახალი ცხოვრების განსთავადი. ისინი მოუთმებლად მოკლოდენ ამ დღეს, სიმწრით ეძებდენ საუკეთესო ჭეშმარიტების სიტუტვას და ისიც ბოლეს მოსიმა: „მოკვდიოთ ჩემ და მშერაღნო და ტვირთ მძიმენო, განსიმა ხმ მდინარე იორდანის ხამირებზე, — და მე განგისუგნოთ თქვენ, ისწავეთ ჩემგან და თქვენ მოიბოგით სულსი შემშვიდეს.“ ასეთი მოწოდების გავრეებაზე იმით, ვისაც იფაჯი ქონდნთ გაწვევტილი ცხოვრების იფაჯის უნაყოფო ძიებაში, ათასობით შეუდგენენ იმით, მიუხედავად იმისა, რომ იმით ამისთვის მოკლოდა დეკონა, წაადება და თვით სიკვდილოც. ქრისტეს სწავლამ დიდი ცნუნისა ადოვით მოიცო მთელი მამინდელი ჭკვეუნა და წამუბუნლოთ სასხლის ხედავლმა, რომლითაც მოწვეო ჭკვეუნა ვარის მდგენელებმა, კერ შესძლო იმის გაქრობა. ქრისტიანობამ გაიარა ჭკვეუნაზე, ვით ყოვლის შემწყურებლმა ძლიერმა ნადავლმა.

სახარების ვაზონი ღვთისა და კაცისადმი სიუფრულისა აღინთო ჭკვენიერებაზე, როგორც მიაჯი და შექნა კანცობრობის ცხოვრების გაუვალ სიბნელეში გზის მარკენებულ ვარსკვლავად. რამდე-

ნიმე ოთისსეულ წლობით შედგენილ შემუშავებულ წარმართთა ცხოვრების წყობილების ბრძოლა ახალ სწავლასთან შეუბოჯარა იყო, მკრამ ზნეობრივი ძალა ქრისტიანობის ისე ძლიერა, რომ იმის წინააღმდეგ კრათური სილეს.

სული არის ღმერთი და თავუხანის მკვდელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თხანადი, თავუხანის ცემ. (იოან. 4 თ. 24 მ.), სიჭკა სხანსობამ და ამათ მასწავლებელთა მთქისა და ჭკვენიერაინკან, აზრი იმაზე დაეყენა ჭკვეუნის დადამანების ვნებათა ძაღლა, და იმის სისამსხურო გზად აღიარა ზნეობრივი სისრულე. ღმერთი არის სული, ის არ არის ბუნების ძალა, განა ცდმერთებული გმირი, ანამედ ზიორუხანი სულიერი არსება. ის არის უმადლესი გონება, უმადლესი სიყვარული, უმადლესი სიმართლე და უმადლესი სიწმიდე. მსოფლოდ ერთი ეს იფაჯი ძლიერ ამადლებს ადამიანს სოლმე. ფიზიკური ჭკვეუნის მომხიბლავობა დაიორღვა. ღვთაებრიობის გვირგვინი ხამოვრდა იმის. ამის მიენიჭა შესაფერი ადგოლო. იმაში უნდა განხორციელდეს ღვთაების აზრები. ადამიანის ცხოველური მოთხოვნალებანი მიხსეულთა ესლა მოუხემა მატურიის მისხეუნებად და ისინი არ უნდა უფლებდენ ადამიანში, ადამიანი თავის თავში ატარებს ღვთის ნაწილს და ღმერთი ვა სულია. ამიტომ ადგირიანს ადამიანისთვის სულიერ ანტიკისებს უდავლია ფასი უნდა ქობდეს. სულიერ მახეობის, ჭეშმარიტების, სიკეთის და უმადლესი გონიერ მისწრაფებათ გულისათვის ადამიანი ვალდებულია ავძინს ი ვით უძვირფასეს სორციელ მადრეკილეობათაგან; იმან უარა უნდა სიჭკას ცხოველურ ბუნების დაბალ სიამოვნებაზე, სისხლითი ხნთესობის ეკვირზე იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მსლობელ ადამიანთა მოთხოვნალებანი ეწინააღმდეგებანს ზნეობრივი გრძნობის მოთხოვნალებებს.

ვისაც სურს შემომადგეს მუ უარულს თავი თვისი, — ამობდა მაცხოვარი, — და შემომადგება მე. ის არ არის ჩემი დირსი, ვისაც ჩემზე უფრო მუტად უყვარს მამა ანუ დედა, ქალი ანუ ვაჟი.“

ჩვეულებრივად ადამიანი არის ხარბი, ახგარი და მოუხემა კაცყოფილების მიმდევარი არსება, სიამოვნება, უფლება, სიმადიდრო მეროკება, ან მისწრაფება, რომელიც გრუუნის ჩვენს, ღუზავს ჩვენს სულს, გვალუბვებს სხვის სულსაც. ესლანდელი ცხოვრების წყობილებაც შესამჩნევად გაუღუნობდა იმ თავმოყვარეობის გრძნობით. ადეთ მაც. მთული თანამედროვე მრწავლობა. უმთავრეს მართადა სიფუძელად უდკის იმის მოუხემა ახგარების სული. მე მაგონდება ქ. ნიენინოკოტოროდის სამრეწველო გამოფენაზე გამოკიდული ვანტკიანის სურათი „სახშირის მოხრეუნა, გამოცოლა.“ როგორც

მოსდებოდა სიმბოლო თვით მრეწველობის და თი-
თქმის მთელი ჩვენი ცხოვრებისაც. სურათზე გა-
მოყვანილია შინაგანი ნაწილი გებერთელა სამუშაო
კაზარმისა მალაროზე. დილით ადრე, როგორც გა-
იხუტეს სიხითლემ, ღამე მალაროში მეოთხე მად-
ნის მთხრეანი რიგზე გამოდიან მალაროდამ გარეთ.
მოდან დადვლიანი, გამაგებულნი, უჩინო მხლოდ
თვალების გუგა. მათი დაღვრემილი და დაწინარებუ-
ლი სხე თითქოს ანსაკადეს დიდ საიდუმლოებს,
საიდუმლოებს აუცილებელ ბედისადმი მორჩილე-
ბისას. ალბათ ასეთივე სხის გამომეტეველებით
მიდიდენ ძველ რომაელთა გლადიატორები, რო-
მელები, როდესაც მიუახლოვდებოდნენ იმპერატო-
რის საკარძელს, შესძახებდნენ ხოლმე. Ave Cae-
sar! Morituri salutant“ რიტორიკულ გრძობა!
სასიკვდილოდ მიამაკლნი სულამს გაიძვნიან“.

მეორე გამომეტეველი ჯგუფი ელოდება შესე-
ლის რიგს. ცოტა ძილს ვერ აღუდგენია იმთ-
თვის გამოლეული ძალა. მუშები ამოქნარებენ, იზ-
ღაზნებან; დაქნცულმა ბავშვებმა ვერ გაუძლო რამ-
დენიმე წამის თავისუფლების მაცთურებას და გა-
გდო იქვე იატაკზე და ტბილად ჩასთვლია.
იმის გამხდარი და გაფითრებული სხე გვეუბნებო-
და, რომ ის დადხანს ვერ ივლის გამოსაცვლელად.
საფრცხლის სანთელი ეკსება; მაგრამ უიმისოდ
ხომ მუშაობა არ შეწყდება. საჭიროება ახალ
მისხვერვლებს მორკეს ხოლმე აქ. გაიხსენეთ ჰუმ-
ბინა:

„და გარდა კაცსა თვალთ უბრძნა,
ანხარის*) მირში მსწრაფლად წარგზავნა,
იგიც მორჩილად გზასა გაუდგა,
და დილით შხამით სხელში დაბრუნდა...
მოკიდა, იგრძნო სისუსტე, დაწვა
თვის ქოხში ჭპოვს მან თვისი ბინა.
მოკვდა საწყალი მონა ფეხჭკეშა
თავის უძლეველ მეუფის წინა“.

აქ პოეტის სიტყვები და მხატვრის ხელი
ერთხანად გვეუბნებან, რომ ჩვენი ამ ქვეყნის სა-
კეთე, ეს მიღიარდობით ფუთი ოქრო, ხანძარი
და რენა თანამედროვე ცხოვრების წყობილების
ბინობებში უდება ძლიერ ძვირ და სპიხელ ფასად
უდება მილიონობით უდროოდ დაკარგულ და და-
ღუბულ საფრცხლეთ. ამ სურათის წინ უნებლიეთ
მოკატონდებათ მაცხოვრის სიტყვები: „რა სარგებელ
არს კაცისა, შეთუამინოს სოფელი უოკელი და თა-
ვი თვისი იზღვიოს.“

ე. ჩ—ბე.

(შემდეგი იქნება)

*) ანხარი, ხეა, რომელსაც ნაყოფში შხამი აქვს.

გ ა ზ ა ფ ნ უ ლ ი .

გაზაფხულია, მზის სხივი
ძალას მატულობს თან და თან;
სჩანს რომ კავშირი შესწყვიტა
ცივ და სუსხიან ზამთართან.

ვიმ რა ლამაზად იღვიძებს
ბუნება მიძინებული! —
მთა ველი მწვანით იმოსვის
წყალიც ჰრბის აღჭაფებული;

და ცხოველებიც თამაშით
დღესასწაულობს გაზაფხულს,
იგრძნენ რა თავისუფლება,
სადგომს გასცილდნ დაბურულს.

ფრინველნიც დაქიკიკობენ,
მთა ბარს ამკობენ გალობით...
ქვეყანა გადაშლილია
წარმტაცის სხვადასხვაობით!!

უცხო ქვეყნიდგან მოსულნი,
მოკიკიკენი ტკბილ ენით,
მერცხალნი შვებან მოგვეფენენ
ჩვენ საუცხოვო სიმღერით;

ბუღბულიც ნაზი გალობით
ტრფობას უცხადებს ყვავილებს
და იმ ტკბილ აღმოკენესაში
ჩუმად გვაპარებს იმედებს...

— არც ია-ბუჩქებს, არც ვარდებს,
არც ზურმუხტოვან მთა-ველებს
და არც შორითგან მოფრენილთ
ტკბილ მოკიკიკე ფრინველებს,

არ დავსდევ; მაყრულს საერთოს
არ უერთდება გლახ გული...
მხოლოდ გადაშლილ ვარდებში
მხიბლავს ფუტკრების ზუზუნნი.

თაფლს ამზადებენ მუშები
შეერთებულის ძალ-ღონით,
ბუნების კეკლუტო ამკობენ
თავისებურის გალობით.

ერთსულოვნებით სიმღერა
გულს მომეფინა სიამეთ

და მოხიბლულმა იმ მუშებს
მივესალამე მფრინვალეთ:

ბუზებო! იმღერ-იფრინეთ
ტურფად მოკაზმულ მთა-ველად,
ისრები მწყობრად მომართეთ
თქვენ ურთიერთის დამცველად;

საუნჯე თაფლით აავსეთ,
გარს შემოერთყით მცველები
და შეუტყით თუ თაფლზე
შემოგეცილონ მხეცები.

მამალი, მუშა და დედა
ყველა ერთი ხარო ფუტკრები,
ერთ ბიკვში მყოფნი და ერთის
დედის და მამის შვილები.

ისარ მომართულს თქვენს კავშირს
ვერ დაუდგება მტრის გული
და თქვენც იფრინეთ მთა-ველად
ერთობით გახარებული.

ბუზებო! ენა მტყველი
შეენატრი მეც თქვენს ერთობას,
ფურთხით და ზიზლით ვიგონებ
ჩვენს გაკუდებულ გმირობას!.

მწერებო, ზეცის მუშებო!
ჩვენც გვაზიარეთ თქვენს ძმობას,
რომ შეთანხმებულ გალობით
ხელი ჩავეკიდოთ ერთობას!.

ახალი გრძნობით შეთხზულნი,
სი-მეს მოვფენოთ მთა ველებს,
ტკბილ სუნნელ ვარდებს მოგაწვდით
საზრდოთ, ფრთავაშლივ მფრინვალეთ!..

ივერიელი.



ქართული გლეხის ზვილი.

„ხნულა“, მოთხრობა მელანახია.

(დასასრული *).

ესეთი ამოდ მორწმუნოების შედეგი ისეთი
თავზარდამცემი და საშინელია, რომ მხოლოდ
ერთად ერთი წარმოდგენაც კი იმისი იწვევს ჩვენ-

* იხ. „ზინ. საქ.“ № 16.

ში უსაზღვრო უბედურებათა და ვაებათა საე-
სე მთელს ისტორიას. იმის მაგივრად, რომ ადა-
მიანი კაცურად მოეპყრას ყოველს ძალას და
ბუნების მოვლენასაც, ცოტაც არის, ცნობი-
ერად უყუროს მას, უმეცრება აღმერთებს ამ
მშრალ ამბავს და სტიქიურ ძალას და ერთხელ-
ვე შიშით მოკული, გონებით დაბნელებული,
საკეთილოდ თუ საუბედუროდ, მუდამ იმახსოვ-
რებს მას და მის ტყვეობაში უნდა დალიოს
თვისი წაწმენდილი სული და გაუბედურებული
ცხოვრება. ამგვარად მუდმივ გატიანებული
ცხოვრება ქათველ გლეხ-კაცს უსპობს ცნო-
ბიერების ნიქსაც; იგი ველურდება, იმასი გო-
ნება საუკუნოდ შიშის ზარს შეუპყრია. აქ,
ვგონებ, საჭიროც არ არის ისტორიიდან ამო-
ვილო მაგალითი იმისა, თუ რაოდენი ვნება
და ენით გამოუთქმელი ზარალი, უბედურება
მოაქვს ხალხის უმეცრებას და ამოდ-მორწმუ-
ნოებას თვით ჩვენი ერის კეთილდღეობისა და
ცხოვრებისათვის. ისტორიითგან ამოდებული
ფაქტები მაინც ვერას დროს ვერ გამოხატვენ,
ვერ დაიტყვენ იმ იბედურებათა თვალუწვდე-
ნელ ზღვას, რომლის ძლიერი ზვირთნი მუდამ
დღე, ყოველს ემს ნთქავს ვაცობრიობის უმ-
რავლესობას და ნთქავდა კიდევ მანემდისაც,
სანამდე ისტორიას მიუწვდება თვისი გონება და
თვალი. და განა ჩვენზე, რალა დასაფარავია,
თვით განათლებულს უმცირესობაზედაც მომა-
კვდინებელის უბედურებით არ მოქმედებს ჩვე-
ნი ხალხის ამოდ მორწმუნოება და გონებით
დაცემულობა, გათახსირება და უმეცრება? კეშ-
მარტად, დიდად დასაფიქრებელია ეს ამბა-
ვი..

რა თქმა უნდა, ეამთა ტრიალი და ცხოვ-
რების თანდათანობითი ზრდა უმეცართა ესეთს
შეხედულობასაც თვის შესაფერს ხასიათს აქ-
დევს. ხალხის, უმეცარ გლეხთა აზრი და წარ-
მოდგენა უხილავ და საშიშარ ძალებზე თან
და თან კარგავს თვის პირვანდელს სახეს. სულ
ბოლოს, ჩემის აზრით, მარტო ცხოვრების ქარ-
ტეხილი და ანარქია, რომელიც აუცილებლათ
მოყვება კაპიტალისტურ წარმოებას, მოუღებს
ბოლოს ხალხის ესეთს ვაკლავ მდგომარეო-
ბას... მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ

იმისი დამლუპველი მნიშვნელობა, ზედგავლენა და ავტორიტეტი ფრიად დიდია და იმას ექვემდებარება, ემორჩილება ხალხი. უმრავლესობა ჩვენი ერისა ჯერ კიდევ ტყვე-მეთქი შეჩვეული, ერთხელვე გზა-გაკვლეულს ცხოვრებისა; თავისუფალ აზოიანობას და რიგიანს ყოფას წარმოდგენითაც ვერ იცნობს. და, რასაკვირველია, სრულიად გაუგებრად, ინსტიტუტურად ზშირად თაყვანს ცემს და შუხლს უდრეკს ხალხი ისეთს მოვლენათა და ამბავთა, რომელთაც არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვთ ხალხის ყოველ-დღიურ ცხოვრებასთან. ამას ჩვენ თითოეული ფეხის გადადგმაზე ვხედავთ და იმისაგან ჩვენ თვით მრავლის უმრავლესი ვნება და ზარალი მოგვდის. თუმცა ნათლად ვერც ჩვენ, ქართველი განათლებულნი ვხედავთ ხოლმე იმ უთვალავ უბედურებას, რომელიც ხალხის უმეცრების მეობებით ჩვენ დაგვტყდება და გვატყდება თავზე. ჩვენი ქართველური უხასიათობა, სიზანტე-სიზარმაცე, მკონარეობა, აზრის და ვნების ძალთა წამბილწველი მოქანცვა, ორპირობა, გაუტანლობა, ნამდვილი ყიზილბაშური ოინები ჩვენებურ მყიარალა და თავ-ხედ ლიტერატურათა, „მტოის არა მტრობა და მოყვრის გზობა“—სულ შედეგია ერთის და იმავე სათავისა: მთლად ქართველთა ერის საშინელი უმეცრებისა, ხასიათის და ყოფაქცევის დაცემისა, ამოდ მორწმუნეობის და გათახსირებულის, უფლება და იღბალ აყრილის, შეგინებულის ცხოვრებისა. ქართველთა ხალხის ესეთმა გატი-ალღებულმა ყოფამ გამოუღია და წაართვა ჩვენს ლიტერატურას და ინტელიგენციის ნიჭის ძალა და ხალხის საზოგადო, საქვეყნო ინტერესებსა და იდეალებზე ზრუნვისა, გაუქრო ცეცხლი საზოგადო მოღვაწეობის და დასცა ისე საშინლად... რომ, ჭეშმარიტად, სახელოვანის ლირიკოსის თქმისა არ იყოს, „ფურთხის ღირსია“ მთლად საქართველო... რა არის, თუ არ ამ გარემოების ბრალი, რომ ჩვენს გულში „ღარ ღვივის ცეცხლის ალი,

არც გვიტაცებს იდეალი“.

და სრულიად გამქრალა სასოგების და იმედის ის ოღნავ მბეჭუტავი სხივიც, რომლის

შუქზე, ამ საშინელი წყვედიადის ეამს, უნდა დასახულიყო ჩვენი უბედ-იღბლო ერის სახეირო მერმისი და მომავალი. და, წარმოიდგინეთ, იმდენად ჩაფუყლაპავართ ჩვენს საკუთარს მომაკვდინებელს სენს, რომ მის სიმძიმეს ვერც კი ვგრძნობთ. ვერ ვგრძნობთ, რომ ეგ სენი მარტო მდაბიო ხალხში კი არა, ყოველს ჩვენს წრეში დამკვიდრებულა და დღეს მთელ ქართველთა ერის საკუთარ თვისებად გადაქცეულა...

ამიტომ, ჩემის აზრით, დიდი, ერთობ დიდი ფასი და მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მდაბიო ხალხის, სარწმუნოების, სიტყვიერების, ჩვეულებათა, ზნე-ხასიათთა, ერთი სიტყვით, მთელი იმიო ფილოსოფიის კვლევასა და გამოხატვას. სულ ერთია ეს კვლევა და გამოხატვა ბელეტრისტულ ფორმაში იქნება გახვეული, თუ სამეცნიერო ტრაქტატში. იგი ჩაგვახედებს ჩვენ ღრმად ხალხის გულსა და სულში, გაგვაგებინებს მის აზრსა და მისწრაფებას და გაგვაცნობს ერთობ იმას, რაც ყოველ დღე ჩვენს გარეშე, ჩვენს „მოყვასთა“ შორის მოხდება ხოლმე... „ბნელოს“ ავტორიც ამ მხრით, თუ არა ვცდები, ერთად ერთია და პირველიც მთელს ჩვენს ლიტერატურაში. მართალია, მას, როგორც უკვე მოვიხსენეთ, მოთხრობის უმთავრესი გმირის ხასიათი, მოქმედება და ყოფა-ქცევა (წმინდა ხელოვნების თვლით რომ განვსჯერიტოთ, რასაკვირველია) ისეთის საცხებიტა და სისრულით ვერ აქვს შემუშავებული და ბოლომდის დაყვანილი, რომ სამუდამოდ ღრმად ჩაიქრას ჩვენს გონებაში იმისი სახე და გახდეს განსაკუთრებული, მუდმივი, ყველასთვის საყურადღებო და სამხატვრო ტიპი მთელს ქართულს ლიტერატურაში. მოთხრობა ამით სრულდებათაც არ კარგავს ჩვენ მიერ დასახელებულს თვის შესანიშნავს ღირსებასა და განსაკუთრებულს მნიშვნელობას... მართალია, ესტეტიკოსი წუნს დასდებს მოთხრობას, რომ ერთიანი ხელოვნური სისრულე აკლია მას, პეიზაჟების, ბუნების სურათთა დახატვა სუსტი აქვს. მაგრამ, მაგივრად ეანრის სურათების თუ პორტრეტებისა და მოქმედ პირთა დახასიათება საუცხოო და შეუღარებელია...

რამ უნდა გამოიხსნას ქართველი გლეხის შვილი ამ უმეტრების, ამაოდ მორწმუნების საშინელის უღლისგან?

ჩემის აზრით, ერთად ერთი შველა კაპიტალიზმის განვითარებაშია. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში მიუცილებლად გამოიწვევს ტენიკის განვითარებას მიწის მოქმედებაშიაც, და ეს გარემოება მოახდენს სულიერ და ზნეობრივ რევოლუციას, რომელსაც მოყვება გლეხთა შეგნების განვითარება.

კაპიტალიზმს ძალიან დიდი მიმზიდველობის ძალა აქვს. იგი მომავალში დაუახლოვებს ერთმანეთს მიწის მუშას და ხელოსანს, მრეწველობის და მიწადმოქმედების უშთავრეს ელემენტებს. ფაბრიკაში მომუშავე პროლეტარი დაუახლოვდება სოფლის მუშას, იგინი გაეცნობიან და დაუახლოვდებიან ერთი მეორეს და შეიგნებენ ერთმანეთის ინტერესებს. ამგვარად, მათ შორის დამყარდება ერთობა, რომელიც, რაც დრო გავა, უფრო და უფრო გამტკიცდება საქონელთა გადატან-გადმოტანის დროს, გზების გაყვანის საშუალებით, ბექდვითი და სიტყვიერი პროპაგანდის მეოხებით, სწავლავანთლების და ვაქრობის განვითარებით.

აი, ეს დიდი და ღრმა ევოლიუცია, რომელიც მოყვება კაპიტალიზმის განვითარებას, საუკუნოდ გააქრობს ყოველნაირს ამაოდ მორწმუნობას, შემცდარ აზრებს და შექმნის თანასწორობის კავშირს, რომელიც მიანიჭებს ადამიანს ქალაქადაც და სოფლადაც გამარჯვებას, აღმატებას და ბედნიერებასაც.

ხომელი,



მთაისში აკაკის დღესასწაულზე დამსწერი ძაქუა გლეხის ნაპოვნი.

(დასასრული*).

ლექსის თქმა რომ გაათავა, აკაკის უთხრა: ბატონო აკაკი, ეს შენი ლექსი რომ პირველად წაგვიკითხა მასწავლებელმა, მაშინ შევიქნებოდი ასე 9—10 წლისა და სასწავლებელში ვსწავლობდი. ბევრი ვიცინეთ იმის წა-

კითხვა — გაგონებაზე და როგორც გავითავდა გაცვეთილი, გავვარდით ბავშვები კარში და მაშინვე წარმოვადგინეთ ამ ლექსის ამბავი; იქ სასწავლებელთან ბევრი ანწლი იყო ის პურის ყანად ჩავთვალეთ, ჯოხები ნამკლებად მოვიმარჯვეთ ხელში და ჰოპუნა, ჰოპუნას ძახილით შეუტევით იმ ანწლს; ანწლი სულ მთლად ჩაუნაგვეთ, მარა სხვა დიდი საცოდაობაც მოვახდინეთ: იმ ანწლში ხელიკები ყოფილიყვნენ, ჩვენ ყვარილ-კიეინზე გამოცვივდნენ იქიდან საწყლები, დაუშინეთ ჯოხები და სულ მთლად ამოველიტეთო. ამის თქმაზე დიდი სიცილი და ხარხარი შეიქნა. და ტაში დაუკრეს: რამდენი კაცი გაათავებდა სიტყვას და ლაპარაკს, იმდენს მაყურებლები ტაშს დაუკრავდნენ. ასეთი ამბავები რომ გათავდა, ფარდა ჩამოუშვეს ისე და კაი დიდხანს იყო ჩამოშვებული: შიგნით რაღაცას აწყობდნენ და ალაგებდნენ ეტყობოდა. ისმოდა კაკუნის და ჩხაკუნის. ასწიეს ფარდას და ჩვენ დავინახეთ რაღაც მოჩვენებასავით სამი ქალი საუცხოვოთ მორთულნი და საუცხოვო შეხედულობის, ერთს ჯვარი ეჭირა ხელში და ორს მეფის გვირგვინი ედგათ თავზე. ესენიო, სთქვეს ერთი რომელსაც ჯვარი აქვს წმ. ნინოს ნიშნავს, რომელმაც ქართველობა გააქრისტიანა, ერთი თამარ მეფეა და მეორე ქეთევან დედოფალიო“. ისინი იღვნენ რაღაც მაღლობად თითქოს მთა არისო, იმათ ძირს კაი ხავერდის სკამზე იჯდა ჩვენი აკაკი და იქით აქეთ მას სხვა და სხვა ნაირად მორთულნი კაცები უდგნენ. საუცხოვო სანახავი იყო ყველა ესენი! გათავებისას თვითონ აკაკი დაეღაპარა ხალხს და სთქვა, რომ მე იმას ვსწერდი, რომ ვხედავდი ჩვენ ხალხს გზა დაბნეულს და ერთი მეორის მომტრეთ და ვცდილობდნი, რომ ეს გადამტრელებული ძმები შემტრეებინა და შემეგროებია, ეს რამდენიმეთ კიდევ მოვახერხეთ, შე ვამბობდიო, რომ ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, როგორც ჩონგური ისე არ იმღერებს კარგათ, თუ სიმები არ იქნენ გამბული და შეთანხმებულიო, ისე არ ვარგა საქართველო, თუ სხვა და სხვა კუთხის მცხოვრები არ შეერთდებოდა შეკავშირდებიანო; მე ჩონგურს სიმები გავუბი

* იხ. „შინ. საქ.“ № 16.

და აწკი საქირაა მხოლოდ მასზედ დამკვრელი, რომ კარგად დაუკრას დაამღეროსო და ღმერთსა ვსთხოვ ასეთი დამკვრელი მალე გამოგჩენოდესო მალეო. (ამ აზრებს მე ვერ მივხედებოდი, მარა ბევრჯელ მოვაყოლე ხან ერთი და ხან მეორე ნასტავლი კაცები და იმათმა გამაგებინეს). როცა გაათავა ლაპარაკი აკაკიმ, ხალხმა ერთბაშად ასტეხა ტაშის კვრა და ვაშას ძახილი და შემდეგ ფარდა ჩამოგვაფარეს თვალეში და ამით გაგვაგებინეს, რომ გეყოთ რაც ნახეთ, გააგონეთო და აწ კი წადით, მოგვმორდითო. ისევ დიდის ამბით გააცილეს აკაკი თავისს ბინაზე. ეჰ, რაც მე იქ ამბავები ენახე და სიამოვნება გამოვსცადე ამის გამოთქმა, დაწერა როგორ შეუძლია ჩემს ენას, ამას კი გეტყვით, რომ აწი გინდა მოგვკვდე და გინდა არა; აღარ ვინანებ დიდ ბედნიერათ ვგრძნობ ჩემს თავსა! ეჰ, ეჰ, ჩემო ძმებო, ჩვენ გვძინავს, ნამდვილად ქვეყნიერობის არაფერი გავგეგება, არ ვიცით ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ მოყვარე! ადამიანებში ჩასაწერი ვართ ვითომ ჩვენც? რამდენ რამეებს არ წარმოადგენენ, რა აზრებს არ გამოიღებენ ნასტავლი კაცები! სხვათა შორის იქ ყოფნის დროს მე შევიტყვე, რომ თურმე შეიძლება ჩინ-მენდლებ-ჯინჯილები არ ჰქონარეს კაცს და მაინც დიდ კაცად ითვლებოდეს, ჩვენ კი ჰკუა თვალში გვაქვს, ასე გვგონია, ყოველივე პატიოსნება და დიდკაცობა მხოლოდ ჩინ მენდლებით იწონება და გარეშე მისსა კაცი კაცად არ მიგვაჩნია. რას ამბობთ კაცო, რომელი ღრენერალი, გინ პომპოლიკი ეღორსება ისეთ პატივისცემას და დაფასებას მთელი ხალხისაგან, როგორც უჩინო აკაკი. დიდი, მეტად დიდი ბედნიერებაა ასე საზოგადოთ ყველასაგან დაფასება: ნეტავე სიხარულით თუ რამე გაუჭირდეს იმ აკაკის, მთლად უნდა გაყმაწვილდეს!

—ნეშტორ წერეთელი კი გამიგონია დიდი კაცი იყო და თუ სხვა ვინმე ასე დიდებულ-სახელოვანი იქნებოდა, იმერეთად აღარ ვიცოდი, დასძინა მოხუცმა ხოსიამ.

—ეგ, ნამდვილად ის აკაკი იქნება, კაცო, ჩვენი მღვდელი რომ ახსენებს ხოლმე ხშირად ლაპარაკში, უმეტესათ ბავშვებს აკაკის არქმევს

სახელად, როცა მას შეეკითხებიან რა დევირქვათო; მგონი ამ ორ სამ წელიწადში სულ აკაკიები გვეყოლონ ჩვენ სოფელში, სულ ერთი და იმავე სახელის ხალხი; არ გახსოვს, რამდენს გველაპარაკა შარშანწინ წირვაზე მღვდელი ილია ქავჭავაძის სიკვდილის გამო, ქეც უწირა, პანაშვიდიც გადახადა ჩვენ; აგვიხსნა თუ რა კაცი იყო ის ილია და თუ როგორ მოჰკლეს ის ვიღაც სულისმტერმა პირებმა, მაშინ აკაკიც ახსენა და გვითხრა: ეს ორი კაცი იყვნენ ჩვენ საქართველოში ყველაზე შესანიშნავნიო. სთქვა მურმანამ და განაგრძო: ამ ამბავსაც აღრევე გავვაგებინებდა ჩვენ მღვდელი, რომ ამ ერთ თვეში შეხვედროდა აქეთ გამოსვლა, თვეში ერთი წირვა გვერგება ჩვენ ზედმიწერილ ეკლესიის ხალხს და ხანდისხან ცუდი ამინდის გამო ისიც არ გვხდება ხოლმე. ძლიერ გაწვალებულნი ვართ ჩვენც და მღვდელიც, ათი ვერსით ვართ დაშორებულნი შტატზე და იქიდან უნდა იაროს ხოლმე უშველებელ თოვლში მღვდელმა, ჩვენსავით კი არ შეუძლია მას თოვლში სიარული, ჩვენ მიჩვეულები ვართ და ის კი ბარელი კაცია. ისე კი არ გვეთქმის მასზედ საყვედური, მეტათ სათნო და ხალხის შემბრალება და მასთან კაი მოლაპარაკე: სულ ყოველ წირვა-ლოცვაზე და შეკრებულებაზე გვეჩიჩინება და გვიქადაგებს ჩვენ სასარგებლო საქმეზე. წიგნები სულ მუდამ ჯიბეში უდევს და ხან ერთს წაგვიკითხავს ხოლმე და ხან მეორესა. მარა ჩვენ ისე ვართ, კედელს რომ ცერცვი შეაყარო, არაფრის გაგება არ გვსურს. ეხლა რომ ის იყოს აქ, ჰო, რა რიგად აგვიხსნიდა ყოველიფერს, ამ წიგნსაც წყალივით გადიკითხავდა და ქაქუჩას ნაამბობსაც აგვიხსნიდა კარგად. მე ვითხრა თქვენ, ეზარება ამისთანაზე ლაპარაკითუ? ისე არც სმას დაეძებს და არ ქამას, როგორც ხალხში ლაპარაკს და ქრისტიანობის შეგნებას ჩვენგან. კლასის აშენებაზე გველაპარაკება რახანია და ჩვენ არ გვესმის; ჩვენი სარგებლობასათვის ამბობს იმასაც. სხვები ხომ ნათელა—ქორწილში ღვინის დაძალებას დაუწყებენ ან დალიე და ან კარში გადიო, ის (მღვდელი) ამ დროს ჯიბიდან ამოიღებს რა-

მე წიგნს ან გაზეთს და დაიწყებს კითხვას, ხალხი ხათრით გაჩუმდება ხოლმე და ყურს უგდებს. ამასაც ჩვენ სასარგებლოდ მოქმედობს. მოსაწონია მისი საქციელი, მაგრამ დამფასებელი არ უნდა მერე? ზოგიერთებს არც ქე მოწონთ ამისთვის, ჩვენ სმა და ჭამა გვინდა, გადარევა და არა წიგნების წაკითხვა და დარიცებაო, დაუმატა სხვამ.

ოჰ, რა უნდა მეთქვა თქვენთვის კიდევ იცით? განაგრძო ისევე ქაქუჩამ. თურმე ყველა მღვდლებს მოუვიდათ ეპისკოპოსიდგან ბრძანება, რომ ეკლესიებზე ეწირნათ აკაკის სადღეგრძელოთ და ხალხისთვისაც აეხსნათ მისი ვინაობა. ან ჩვენ მღვდელს ვინ მოასწრობდა ამისთანა საქმეს, რომ აქ გამოვლავა შეხვედროდა, შტატის ეკლესიაზე კი წირვასაც შეასრულებდა და აკაკის ამბავსაც იქადაგებდა, რაღა თქმა უნდა! ამით ვათავებ, ჩემო ძმებო, ამ საგანზე თქვენთან ლაპარაკს, მეტი აღარაფერი მაგონდება და როცა მღვდელი გამოვა აქ საწირავად ის უფრო დაწვრილებით მოგიტყვის, თუ რითია შესანიშნავი აკაკი წერეთელი და რითია მთელი ხალხისგან პატივსაცემი; იმას გაზეთები მოუღდის და ეს ამბავები იქ იქნება კარგათ ჩაწერილი და წაგვიკითხავს, მე გეტყვი თქვენ წაკითხვა გაუჭირდება, ასე გგონია კაცს, ყოველივე რა ზეპირად იცის რაც შიგ სწერია ან წიგნში და გაზეთში. და ისე ჩაიბუღებულა, რომ ერთი არსად შეჩერდება—შეფერხდება. ახლა კი ამას დასჯერდით და მღვდლისგან მერე მეტსაც გაიგებთ, თუ გინდათ აკაკის წიგნაკიც აგერ არის და წაკითხეთ ვინმეს. ამით დაათავა ქაქუჩამ თავის ამბავი.

—შენ გაცოცხლოს და აგაშენოს ღმერთმა, ჩემო ქაქუჩა, რომ ყველაფერს მარგალიტად და ბეჭედივით მოგვიყუცი; არა, ძალიან დანახსოვრება კი იცის ქაქუჩამ, ჩვენში ამას და გიოს ვერვინ სჯობია მესხიერება-გონიერობაში და ამათმა რომ კითხვა იცოდნენ და წერა, მართლა რამე იქნებიან, შესძახეს აქეთიქიდან ქაქუჩას.

აბა კოტია, ახლა ჯერი შენზედ მიდგა, უნდა გავვაგებინო, რა წერია ამპატარა წიგნში, რაზე ლაპარაკობს აკაკი, ალბად რამე სა-

ყურადღებო იქნება, თორემ არ დაბეჭდდენ. აქა იქა მიინც წაგვიკითხე, თუ სულ დაგეზარება წაკითხვა, შეეხვეწნენ ყველანი ერთ ყმაწვილ კაცს—კოტიას. კოტიამ აიღო წიგნი ხელში და დაუწყაო-იქით-აქეთ ფურცელი სინჯვა და მერე მოჰყვა თვისებურათ ამოთვლით კითხვას: ა-კ-ა-კ-ი-ს ც-ხ-ო-ვ-რ-ე-ბ ა. ეს გრძლად ნაწერია და გვიანობამდის ვერ წავიკითხავ, სთქვა კოტიამ, გადაშალა ორიოდუ ფურცელი და წაკითხა მ-უ-შ-ი-ს ნ-ა-ტ-ვ-რ-ა.

ვისაც რა უნდა უყვარდეს, სულ სხვაა ჩემი ტრფიალი: მიყვარს პირწმინდა ნამგალი, მისი ყანაში ტრიალი... თავი მოუკვდეს ზოგიერთს, რომ იტაცებენ სხვისასა... საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან, ურცხვად ივსებენ ქისასა. და სხვა.

ოჰ, ოჰ, მისი ენის კი ჭირიმე, წამოიძახეს ერთხმით, მართალს ამბობს, მართალს, მარა რითი იცის ასე მუშის გულის პასუხები, ის ხომ დიდი თავადი და ნასტავლი კაცი ყოფილა, მარა გლახის ძუძუთი ნაზარდი რომ არის, ალბად მიტომ ებრალება მუშა კაცი და კიდევაც იცის მუშის ყოველივე ანგარიშები: ამის კითხვა რომ გაათავა, კოტიამ მერე მოჰყვა სათაურების კითხვას და შეჩერდა „სულთკოზე“. საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე დაკარგულიყო და სხვა...—მოიცა, მოიცა, ეს სიმღერა ჩვენშია ცხირად გავვიგონია, ჩვენებური გოგო—ბიჭები მღერიან ხოლმე და ჩონგურზედაც ამღერებენ ამას, მაგრამ თუ აკაკის ლექსი იყო ეს, ის კი არ ვიცოდით, ვინ იცის ეგებ „ჩონგურს სიმები გავუბი, მოვმართე ნელანელაო რომ ამღერებენ ჩონგურზე ჩვენი გოგოები, ისიც აკაკის შედგენილ—გამოგონილი იყოს! აბა დააკვირდი კოტია, ხომ არსად სწერია მაგ წიგნში? კოტიამ განაგრძო ისევ სათაურების რა მის ქვეშ პირველ სტრიქონების კითხვას. ამოიკითხა ნუ მეტრფი, და ქალი მამას ქმარში გაცვლის და მერე შეჩერდა „ნათელას სიმღერაზე“.. ჩა-ნ-გურ-ს სიმები გავუბი, დაიწყო ამოკითხვა კოტიამ. და სიბარულთით წამოიძახა: აი აგერ წერებულა ეს ლე-

ქსიც და ყური უგდეთ და ჩაყვა ბოლომდინ... ბიჭოს, მართლაც ძან გამომთქმელი არ ყოფილა ი მამაცხონებული? სულ ყველაფერი იმას გამოუთქვამს და სხვა ნასტავლი კაცები რაღას აკეთებენ ნეტავი, წამოიძახეს ზოგიერთებმა. რითი მოაწყო—და გადააბა ასე ერთი ერთმანეთზე სიტყვები ი დალოცვილმა. გაიკვირვეს იმათმა.—თურმე ერთი დიდი სახლში არ დაეტევა, რაც აკაკის დაწერილი წიგნებია, ისეთ ბევრი შეუდგენია, ჩაურთო ისევ ქაქუჩამ.

მართლა კაცი ყოფილა, კაცი და არკი მიტომაც დაუფასებიათ ის ყველგან, ალალი იყოს მასზედ ხალხის პატივის ცემა, ღირსი ყოფილა და ღირსეული სწორედ. ჩვენც კი გვეყოფა ამდენ ხანს აქ ჯდომა და ამბავების გაგება, აწკი ჩვენ ჩვენ სახლს მივაშუროთ, წყალი მოსატანი გვაქვს და საქონელი მოსავლელი გვყავს. ამის თქმაზე წამოიშალნენ და გარეთ გამოვიდნენ. უპ, უპ, რა ძალიან თოვს ე დალოცვილი! პირჯვარი დაიწერეს საყდართან და გასწიეს შინისკენ.

20 თებერვალი 1909 წელსა.

ქვაციხელ საბავოელი



აკაკი წერეთელი

რთგორც მკთნანი ძამუღი მუილი,

დამატება ლექციებისა

I.

აკაკის აზრი ქალსე და სიუკარულსე.

(გავრძელება*)

აკაკი ფრიად დიდი შენედულებისა სიყვარულზე, თუმცა ხანდისხან, როგორც ქვევით დავინახავთ, უცნაურ აზრებსაც გამოუჩინებდა ხოლმე შიგა და შიგ. მე სიყვარულმა „ამამაღლია“, „ღვთიური ძალი“, „ცის საიდუმლო“ მან „მაგრძობინაო“, იგი „ცისა და ქვეყ-

* იხ. „შინ. საქ.“ № 13.)

ნის კავშირი და „შუამავალიაო“, თუმცა უმეტესობა მას „ცილს წამებს“, „ვერ გრძნობს“, „მის მაგიერ მისის სახელით ის აღიარებს პირტყულ წამებსო“, მაგრამ მაინც ისაა, რაცა და მხოლოდ ისო. მითი „მგოსანი ფრთებ შესხმული ვარ და მონავარდე აღმაფრენითა“, რომ მეც „გედევით სიკვდილის წინეთ უცნაურ ჰანგზე ჩაგინმატკბილო“... და „წმიდა სიმებზე“ „ვსთქვი გალობა საშვილიშვილო“. საგანი ამ „ციური ნიჭისა“, აკაკის აზრით, უმეტეს ყოვლისა არის სამშობლო, ქართველისთვის — საქართველო — „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“, რომელსაც მგოსანი ეკუთვნის „მკედარიც“ და „ციცხალიც“, „ანდერძს უბარებს“, რომ „მის მიწას მიაბაროს“, „მეკურნალად შეეყაროს“ უცხოეთიდან დაბრუნებულს „სხეულს“ და „დამქნარი ია და ვარდი გვაუხაროს“; აკი მართლა მისთვის გამოეშურა სამშობლოსკენ, რომ „ობლობა ვერ აიტანა“ და „მის ნახვას დაეჩქარა“, ხომ „წინ მიეგებებოდა მისი მზე, მისი მთვარე, გუნდი და გუნდი ვარსკვლავნი, მოკაშკაშ-მოელაარე“! სამშობლო მშვენიერი „ათრობს მას“ „უღვინოდაც“, რადგან ნეტარებას უმრავალეცემს მიდამო მისის მშვენიერებით! ველარც იქერს თავს და გალობს: „ვიშ ამ საღამოს, მშვიდსა, საამოს, ტკბილ-სეტარებით შეზავებულსა, რა უცნაურად, მაღლით ციურად საშოთხისაკენ იტაცებს გულსა“...

დახვთ ამ მთვარეს, სხივ-მომფინარეს, თითქოს ტკბილ—სევდით იფსებსო გულსა, მოკაშკაშენი, მოთამაშენი ვარსკვლავნი ირგვლივ აბშენ ფერხულსა. ძალთა დიდება, შექმნათა ქება, არს საიდუმლო მათი ვედრება; ქვეყნით ბუნება მას ეუბნება და ეს ბანია „ქებათა-ქება“ ყვავილთა ენა არს სუნნელთ ფშვენა, საგალობელად აღმაკმეული; წყალთა ჩქრილი, ფოთოლოთ შრილი, ბალახთ ბიბანი, რაღაც ვრძნეული, ბუნების მაყრულს, საქორწილოდ სრულს, ეკავშირება, ზე ემატება; და ახლა მეც ვგრძნობ, საიდუმლოდ ვსცნობ.

რომ არის კაცი ღვთისა ხატება!..
 აი საგანი აკაკის „სიყვარულისა“, მიზე-
 ზი „მისი აღმადგენისა“! ქვევით სულ ამგლავ-
 ნებს თავის „საიდუმლოებას“, ველარ ფარავს
 გრძნობებს!

მე მას უგალობ. ვისაც განგევამ
 მშვენიერება უსხივ-ცისკარა,
 ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
 და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა!..
 ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი
 და მომხიბლავი მძლავრი ოცნება,
 სიყვარული რომ ხატად უდგია,
 ეგვირგვინება პატიოსნება!..
 როცა ქაბუკი, გამოუცდელი,
 მას თავყვანს ვცემდი თავდადებულად,—
 ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს
 იმაში შენათხზ-შეერთებულად
 და საამქვეყნოდ გულ-გრილ მოხუცი
 ღღესაც თავყვანს ვსცემ, როგორც პირ-
 ველად,

თითქო ქაბუკი ვიყო მე ახლა
 და ვყოფილიყვე მოხუცი ძველად!..

ამავე მოძღვრებას ვხედავთ „თამარცბი-
 ერში“, გომა მგოსნის სიტყვებში, სადაც იგი
 ცოცხალი თამარ-ცბიერის ალერსს უარ ჰყოფს,
 როგორც უბრალო „გულის ფხანვას“, და
 გულს კარს უღებს“ შოთას თამარს, „მის გა-
 მო აქვს სულის კვეთება და მისთვის უძვერს
 სიწმინდით გული, ის არის მისი წმინდა-წმინ-
 დათა, მისი სულის დგმა, მისი გულის თქმა,
 მისი არსების გამასპეტაკი, წმინდა მირონი და
 აიზმა“, ამ ნაირად მგოსანი ეძებს „სხვა გრძნო-
 ბებს“, „სხვა ბანი უნდა მისა ვალობას“. მი-
 სი „გულის ხაზია“ „საქართველო“ მისი „ცა-
 თირუზ, ხმელეთ-ზურმუხტებით“ და მისთვის
 ეღერს მისი ჩანგი.

სამშობლოს შემდეგ საყვარულის საგანი
 ქალია. იგი ისე ატყვევებს კაცის გულს, რო-
 გორც „თავის კატა, იგი ათას ბადეს უგებს
 კაცს გზაზე და იქერს—იმონებს. აი რა მაკ-
 ლური წერილი მისწერა თამარ ცბიერმა სატრ-
 თოს—გოჩა—მგოსანს:

მე ვარდი ვარ, ვარდი გულ-სხივოსანი,
 მსურს ბულბული, მოქიკვიკე მგოსანი,

გრძნობით, გულით, სულით პატიოსანი,
 მეტს რას ეტყვის იმას მანდილოსანი?

მე ია ვარ, ია ნაზად დახრილი,
 მენატრება იადონი ხმატკბილი,
 ყოვლად სრული, ბუნებით შემკობილი!
 მეტს რას ჰკადრებს ხორციელად შობილი?
 ზამბახი ვარ, საწალკოტო სუნენლი!
 ის—მებაღე, უცხო ცეცხლის ამგზენლი;
 მე სნეული, ის—მკურნალი დამხსნელი!
 მეტს რას იგრძნობს მოტრფილად მზე ბნე-
 ლი!

ტრფობის წიგნში ვინც ჩამწერა მისია,
 ვინც სევდების გულში ჯარი მისია,
 მისი ვარდი, თაიგული მის ია.

არ ერგება სხვას... მისი და მისია!..

მგოსანი კინლამ არ გაება ამ სამაცდურო
 ბადეში! როცა შეხვდა და ველარ მოიშორა,
 გამოუტყდა, რა ძნელია თავის შეკავება:

გამოუხატავს შენში ბუნებას
 შემოქმედების ძალა ძლიერი,
 თვალ-ტანადობა, გრძნობა-გონება,
 ნიჭი ბევრგვარი, გულ-სახმიერი
 მოუვლენიხარ კაცთა მხიბლავად!

როდესაც გიქვრეტ, ცას ვხედავ გახსნილს,
 და სასუფეველის მშვენიერებას!

შენა ჰგრებს სიმებს ჩემი ჩანგისას
 და მე უცნაურს ვგრძნობ ნეტარებას!

მაშინ ვეზობი შენ წინ სიმდაბლით
 და გრძნობით გიხრი თავს—ო!

ასე ქალის მშვენიერება, აკაკის აზრით,
 „ხარჯს ადებს“ მამაკაცს, ეს „ხარჯი“ „ცისა
 და ქვეყნის გულის ძვერაა“, იგი „ტრფობის
 სურვილით გარეშე მობურავს კაცს“, „აღთქმას
 ატეხინებს“, „ხილულთ აბრმავებს, „ბრმას
 უხელს თვალებს“, „წაღმას უკულმად, უკულმას
 წაღმად თითისტარივით შეატრიალებს“, „დაა-
 გმობინებს წმინდა წარსულს“, „დაავიწყებს
 ტკბილ მომავალს“, „ღეჩაქის ყურზე გამოი-
 ბამს“ ქვეყნის ძლიერთაც კი!

ამიტომ არც ხუმრობდა ქალის საყვარული!
 იგი ნალღველს თაფლად გიქცევს და თაფლს
 ნალღველ-შხამად! ცოცხალს მოგკლავს, მკვლარს
 გაგაცოცხლებს!

„გნებავსთ, შეიტყობთ ჩემგან, რა არის შეყვარებულის ღიაცის გული?“ ეკითხება გოჩა თამარს და პასუხსაც აძლევს:

„სასუფეველი და ჯოჯოხეთი
გრძნების კავშირით შეერთებული.
საუნჯე-რამე ავის და კარგის
უმეტნაკლებო, ამოკრებელი;
თვით უკვდავების წყარო ნექტარი
ნაღველ-სამსალით გამწარებული;
მხიბლავი ძალა, ადამანტური,
თავში საამო, ბოლოში მწარე,
წამ—ერთ აკვანი სიხარულისა,—
ხანგრძლივ-კუბო და ცივი სამარე.

შეყვარებული ქალი არის „პატიოსანი ლპირა“ (II, 147), ტყუილისა და მართლის ვერ გამოჩევი, „სნეული“, „ბრმა“, რომლისთვისაც ნათელიც კი ბნელია“, რადგან „ეშხით დამთვრალს გონებას ძინავს და უკუღმართობს მარტოკა გული“. ამიტომ კაცს „მეხად ხვდება გულზე“ და „ულოდნელად არბილებს სანთელივით დასაგრეხად“. კაცს რომ გულში „ცეცხლი გაუჩნდა“ და „სანთელივით დნება“, სატრფო იმ დროს „შორიდან ეჩვენება, ვით ეშმაკი წამწყმედელი“ თუ შეყვარებულმა „უფსკრული გრძნობა“ და „ციური ნიჭი“ ვერ იგრძნო „თავის ცივ-გულობით“, მისთვის მერე „ყვავიც ბუღბულია“, და „რათ უნდა სხივი მშისა? მთვარის სხივიც კი დააქნობს!“

ნამეტნავად სახიფათოა იმერელი ქალის სიყვარული! თუ „კაცი თავგიაო“, ამბობს იგი, ქალი კატა უნდა იყოსო! რომ კუდ-ქნევით და კრუტუნით შეაცდინოს, დაიქროს, ხან შეიპყრას, ხან გაუშვას, ხან აცინოს, ხან ატიროს, არც მოჰკლას და არც არჩინოს, მის მკვრეტელი გააყვირვოს და მსხვერპლი რომ დაუმტკიცდეს, მერე სხეებზედ ინადიროს“. მან „სხივი უნდა ჰფინოს“, მაგრამ გათბობით კი არაფერს გაათბოს“, თუმცა „მომხიბლავი შორეულათ თანასწორად ყველას უნდა ატკობდეს“.

ამიტომაც აკაკი ეხლანდელს კოლზე ძლიერ ცუდი შეხედულების არის და ბევრიც არაფერი სწამს მისი.

მითხარით, ლამაზ კოლისთვის

ნეტავ რა არის ქმარიო?

ადვილად გამოსაცვალი
ვერცხლისა რამ ქმარიო!
დღე ერთს მოირტყამს, მეორით
ხვალ დაიმშვენებს წელსაო,
თუ დაეკარგა, იტირებს,
მაგრამ გაუძლებს სენსაო!

კოლის სიყვარულზე აკაკი დედის სიყვარულს უფრო მაღლა აყენებს, რადგან, მისი აზრით,

ქალი მამას ქმარში გასცვლის,
კოლი ქვრივი სხვას წაჰყვება,
მაგრამ დედას შეილის ტრფობა
სამარეში თან ჩაჰყვება,

უნდა შევნიშნოთ, რომ აქ კოტა არ იყოს, აზრი ძლიერ ბუნდეთ აქვს აკაკის გამოთქმული და ბევრს სხვა ადგილებს მისი ნაწერებისას ეწინააღმდეგება. ერთი ის, რომ თუ „ქალი მამას ქმარში გასცვლის“, მაშასადამე მას ქმარი უფრო ჰყვარებია მშობელზე და ეს ხომ ქრისტეს მოძღვრებასაც ეთანხმება! მეორედ ბევრი გვინახავს ყველას დედებიც, რომ „შვილი მეორე ქმარზე და მესამეზედაც გაუცვლიათ“ და „მისი ტრფობა სამარეში თან არ ჩაჰყოლიათ!“ მესამედ თუკი „ლაშაში კოლისთვის ქმარი მხოლოდ ადვილად გამოსაცვლელი ქმარია“, ნუ თუ ის ამ იავ ქმარში მშობელს გასცვლის? მაშინ მშობელიც ხომ ქმარზე უფრო იაფი ნივთი იქნება მისთვის! მეოთხედ, რატომ „ნათელამ“ და სხვა აკაკის ძველმა დედებმა არ გამოიცვალეს ისე ადვილად ეს ქმარი? ნათელა რაღად მისდევდა ურდოში ქმარს და რათ ეუბნებოდა ნოინს: „არა, ნოინო!.. სხვა მიყვარს, ის არის ჩემი ქმარიცა!.. მისი ვარ; იმას ვეკუთვნი მე კოცხალიც და მკედარიცა!.. მსურდა, მომესწრო, მენახა, მომეკრა სადმე მე თვალი და ან მის უცხო საფლავზე გულში ჩამერქო ხანჯალი!“ მეხუთედ, თუ კი ძველი ქალები იყვნენ ის კაი კოლები, რომელთაც მიეწერებათ მაშინდელი საქართველოს დიდება და ბრწყინვალება, რატომ არ შეიძლება, რომ ახლანდელი ქალებიც კაი კოლებად გამოდგნენ? თუ მათ შორის დღეს „დიდი ზღვარია“ და მათ დანახვებზე ძველი „დე-

დები სირცხვილითაც დაიწოდენ“, თუ მათი „ნანინაც სიყრმითვე გამრყენელია“, ეს ბუნების გარდაქმნას როდი ნიშნავს: ეს დროის მონაბერი უკულმართობაა და დროვე წაიღებს თან. ჩვენი მხტოვანი მგოსანიც ტყუილად იტებს გულს! დარწმუნდი, მოხუცო მოძღვარო, იმაშიც, როგორც ყველაფერში სხვაში, რომ სულ არ წამხდარა მომავალი ბედის წერა, „გაიღვიძებს ისევ ერი“, რადგან იგი „არ მომკვდარა მხოლოდ ძინავს“, და გაღვიძებულ ერს „დედებიც“ კაი ეყოლება და „ყოლებიცი!“

აკაკის მოძღვრებაში საყვარელზე არც მეორე ადგილი მომწონს. თავის ქებათა-ქებაში ის სიყვარულზე ამბობს, რომ „უგნური უმეტესობა ვერ გრძნობს (მას) და ვერ ცნობსო, მხოლოდ ცილს წამებს მის მაგიერ მისი სახელით ის აღიარებს პირუტყულ წამებსო“, ქალისა და ვაჟის მიწერ-მოწერაში—კი აი რას ალაპარაკებს ვაჟს პასუხად მოტყუებული სატრფოისა.

რაც ვიყავით, ისევ ის ვართ!

იგივე გვაქვს ორთავ ძალა,
მაგრამ დრომა ხარბი გული
გააძლო და მით შესცვალა!
ტყუილია! არ გვიმართებს
ერთმანეთის საყვედური!

ბალი წვერში გამწარდება,
ბოლოშია უგემური!..

შენ სხვა ხილი! მე სხვა ხილი!..

გვიჯობს, მიყვებით გულის ნებას!
ჩვენ ვერ შევშლით რაც, კანონად
დაუდვია თვით ბუნებას!

რით აფხნათ ეს წინააღმდეგობა აზრთა? ეს იგივე „პირუტყული წამები“ არაა? იგივე უბრალო „გულის ფხანვა არაა“? ზევით გაღმერთებული „აღმა-მფრენი“ და „ცის ნიჭი“ სიყვარული აქ გარდაგვექცა სათამაშო ტიკინად, რომელსაც ბავშვები ჯერ კისერს წაპგლეჯენ, მერე ფეხებს მოამსხვრევენ, მერე ხელებს, ბოლოსაც მისრეს-მოსრესენ, ნაგავში გადააგდებენ და მშობლებს ახალს და ახალს მოსთხოვენ! შეიძლება ეს „აკაკური“ ხუმრობა იყოს, მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ მოძღვრება

მოძღვრისა ხუმრობაშიც და დინჯ მსჯელობაშიც აღმზრდელი უნდა იყოს, მეორეთაც ისე, რომ შეურაცხყოფილი ქალის საბუთიანი შეკითხვები აკაკიმ დამნაშავე ვაჟის უზნეო პასუხით გაათავა და მაშასადამე ამ შემთხვევაში, თუ არ ვცდები, ვაჟის აზრი თვით აკაკის აზრია! თუ ასეა, მაშინ ერთი ხელით რის წვით-დაგვით ნაშენი ტაძარი მეორე ხელის ერთი მოქნევით ინგრევა!..

II.

აკაკის აზრი მგოსანზე და მგოსნობაზე.

რომ აკაკის ბუნება და პოეზია გავიგოთ, საჭიროა შევედაროთ იგი ილია ქავქაძეს და ნ. ბარათაშვილს. როგორც მოგვხსენებათ, ნ. ბარათაშვილი ქართველების ბაირონია, რომანტიკი, ინდივიდუალურ გრძნობათა და დელევათა ზღვა, პოეტი მუდამ „მკენესარი“, „შავად მღელვარი ფიქრების“ მექონი, „ობოლი სული“, რომელსაც მესაიდუმლე არ გამოუჩნდა; იგი უბრალო ჩვეულებრივი მომაკედავიც არაა, იგი ზე-კაცია, ღვთის მოზიარე და მესაიდუმლე, ქვეყნად იგი ვერ ეტევა და სადღაც შორს ქვეყნის ზევით „ეძიებს სადგურს“, „ზენაარსთ სამყოფში, რომ დაშთოს აქ ამაოვბა“ მაგრამ საწადელს ვერ ისრულებს, „ვერს სნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს“ და ეს უორკეცებს „სულის კვეთებას“. რაკი ზეცას ვერ ასწვდა, მიმართა მდინარის პირს, „განსასვენებლად“, „სვედიანმა ფიქრთ განსართვლად“ მტკვრის „ღუღუნზე“, და ცოტა ხანს „სანუგეშო ინაშა ცრემლი“, მაგრამ „აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით“, შავი დროები მოაგონდა, პასუხი მდინარისაგან ვერ მიიღო კითხვებზე და დაღონებულმა მიმართა ჩონგურს. მანაც ხომ არ შეიბრალო, „კაენის ხმით“, „მოთქმით“, „ოხებით“ აავსო და „დაფიქრა პოეტის სული“, ჩონგურს უსაყვედურებს, რატომ ერთხელ მაინც არ „მასმინე მზიარული ხმაო“, მაგრამ მისგან მაინც მოესმა ისევ „მოკლულის გულის ოდენ ჩივილი“ და ასე უიმედოთ გაათავა ოხერა: „ძნელი არის მარტობა სულისა: მას ელტვიან სიამენი სოფლისა,

მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა, ოხვრა არის შვება უბედურისა, ბოლოსაც მიუბრუნდა გულში მოლიტინე „ბოროტს სულს“ და შესჩივლა „უბედურმა“: „სულა ბოროტო... მარტვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა, რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“... „დავკარგე მშვიდობა სულისა, რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მიხვრალი?“ გამწარებული ქვეყნის გაუტანლობით, უსამართლობით, უგრძობლობით, შეუსმენელობით „მერანზე“ ჯდება და სადღაც გადასაკარგავად მიექანება „უგზო-უკვლოდ“, „უკან მისჩხავის თვალბედითი შავი ყორანი“ და შორდება მამულს საუკუნოდ, შეურიგებლად, „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა ამცნებს ის გულის საიდუმლოს“, „გულის კენესას, ტრფობის ნაშთს აძლევს ზღვის დელვას“, „ბედის საზღვარს“ სცილდება და ბედს მაინც არ უნდა, რომ „დაემონოს“, როგორც აქნამდის არ ჰგონებია და „მისი ბასრი“ მაინც ვერ „აშინებს“ მას — „მოსისხლე მტერს“. მისი ერთი-ლა ნუგეში იმ რწმენაში დარჩენია, რომ იქნება, „ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიბნელე გზისა გაუადვილდესო და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდესო“!

იღია ჰავჭავაძე მითი ჰგავს ნ. ბარათაშვილს, რომ იმისაც მგოსანი „ზე-კაცად“ მიიჩნია, იგი „ქვეყნად ცამ გამოგზავნა“, „დანიშნა“, თუმცა ზრდით „ერი ზრდის“, ის „ზეციერია“, მუდამ „ღმერთთან ლაპარაკობს“ საერო საქმეზე, ჭირ-ვარამზე, მას გულში უღვივის დიდის ღმერთის საკურთხეველის ცეცხლი და „ციური ნაპერწკალი უფეთქს მას ცეცხლს გულში“, რომ ეს არ ჰქონდეს მას, მაშინ იგი მგოსანი კი არა, უბრალო მიწიერი მომაკვდავი იქნება, როგორც სხვანი ყველანი და მეტი არაფერი.

მღვდელი მ. კვლენჯერიძე.
(შემდეგი იქნება)

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მგვდლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე გ ა

ვამზადებ შეგირდებს

ყოველ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისთვის.

ადრესი იკითხეთ გაზ. „შინაური საქმეების“ რედაქციაში.

გამოვიდა და ისყიდება

პირველი სერია სამეურნეო წიგნებისა

აბრეშუმის მოკლა

ნ. მკურნალისა.

შანი 3 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კვლენჯერიძისა: თეორია სიტყვიერებისა — მეორე დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იყიდება ქართული ქრესტომატიის — მისივე I, II, III და IV კლასებში საკითხავა წიგნა.

იკითხეთ: ფოთში აკროთან, ქუთაისში ი. კვიციანიძისთან და კ. ბუქუნიანიძისთან, თბილისში წერაკითხვას სწავლავთქმისა.

